პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 156 (6211)

1978 წ. 10 [illegible]

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского. Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ჩაქუჩული-78"

•

## პიონერები ზედაზნის კალთებზე

პიონერული ბანაკი „მცხეთა", სადაც 320 ბავშვი ისვენებს, ზედაზნის ქედის სამხრეთ კალთაზე, ...ის მონასტრის მიდამოებშია გაშენებული. ბანაკის ტერიტორია ... ჰექტარს მოიცავს. პიონერებს მეთვალყურეობას უწევს გაერთიანება „თბილქალაქმშენი", რომლის დახმარებით აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსი, აბანო... ბანაკი აღჭურვილია სპორტული ინვენტარით, მოწყობილია ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის მოედანი, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო დარბაზი.

პიონერული ბანაკის პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ახალი, ორსართულიანი კორპუსის მშენებლობას, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ ზამთრის არდადეგებზეც დაისვენონ. აშენდება კლუბი 200 ბავშვისთვის, დამატებით მოეწყობა სპორტული მოედნები, ღია საცურაო აუზი.

„მცხეთელი" პიონერები ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს ...ით მღვიმისა და ჯვრის მონასტრის სანახებში, ეწყობა შეჯიბრებები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და ფეხბურთში.

* * *

ეს სურათებიც, ჩვენმა კორესპონდენტმა თ. ქიქავამ რომ შემოგვთავაზა, ამ ბანაკის პიონერთა საინტერესო ცხოვრებაზე მოგვითხრობენ.







## მექსიკაში თედიაშვილი გამეგზავრება

როგორც საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელები ო. ბლიაძე და ჯ. მეგრელიშვილი გვატყობინებენ, წახკაძორში გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში მექსიკის მსოფლიო პირველობის საგზურების მაძიებელთა დასკვნითი ორთაბრძოლები.

ლევან თედიაშვილის მეტოქე იყო უკრაინელი ი. მატე. ანგარიშით 11:1 გაიმარჯვა ქართველმა ფალავანმა. ა. ბისულთანოვს ორთაბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია.

### ჭიდაობა

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დამთავრდა სამბისტთა საერთაშორისო ტურნირი. ათი წონითი კატეგორიიდან ხუთში გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა. აი გამარჯვებულები: ი. პარასკოვი (ბულგარეთი), ი. კრუგლოვი, (სსრ კავშირი), ს. სტოიანოვი (ბულგარეთი), ვ. ხოლანსკი, რ. მაღიაროვი, (ორივე — სსრ კავშირი), პ. პენოვი, გ. პეტროვი (ორივე — ბულგარეთი), ა. პუშნიცა, ნ. მედვედევი, (ორივე — სსრ კავშირი), ლ. ლოზანოვი (ბულგარეთი).

### ძალოსნობა

მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნები გამოვლენ უკვე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, რომელსაც ჰქვია — „რეკორდების დღე". ეს შეჯიბრება ზევ იწყება ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში. მიწვეულთა შორის არის „რეკორდსმენთა რეკორდსმენი", რიაზანელი ვ. ალექსეევი, რომლის ანგარიშზეა მსოფლიო რეკორდის თხმოცი შესწორება. გარდა ალექსეევისა საბჭოთა ათლეტები წარმოდგენილნი არიან შახტელი დ. რიგერტით (მის ანგარიშზეა 55 მსოფლიო რეკორდი), ლენინაკანელებით ი. ვართანიანით და ვ. მილიტოსიანით, კრასნოდარელი ს. არაქელოვით, როსტოველი გ. ბესონოვით და დნეპროპეტროვსკელი ს. რახმანოვით. მიმდინარე წელს საბჭოთა ძალოსნებმა უკვე დაამყარეს 22 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 17 მსოფლიო რეკორდს აღემატება.

### კრივი

ავსტრიის ქალაქ ვინერ ნოიშტადტში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ინგლისის, უნგრეთის, გდრ-ის, გფრ-ის, პოლონეთისა და ავსტრიის მოკრივეები მონაწილეობდნენ. ერთადერთმა საბჭოთა მოკრივემ გროზნოელმა ხ. ჯაბრაილოვმა (71 კგ) ფინალში დაამარცხა ავსტრიელი ლოიბნერი (ბრძოლა შეწყდა მეორე რაუნდში საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო).

პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გაიმართა ამერიკელ და პოლონელ მოკრივეთა მერვე საერთაშორისო მატჩი. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს მასპინძლებმა (71 და 81 კგ წონით კატეგორიებში მონაწილენი არ იყვნენ). საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონ, პოლონელ გ. სრეფნიცკის (51 კგ) შეხვედრამ აშშ-ს ჩემპიონ დ. მელრანოსთან. პოლონელმა მესამე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე და ბრძოლა მოიგო.

საქართველოს სპორტკომიტეტში

•

## პრინციპულად იმსჯელეს

### აბაშის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების შესახებ

ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტში იმსჯელეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილების შესაბამისად აბაშის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე.

აღინიშნა, რომ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებების ...ქზე რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დადგენილების შესასრულებლად ამ რაიონში გარკვეული მუშაობა ჩატარდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტარდება სათანადო ღონისძიებანი ცხენოსნობის, ქართული ჭიდაობის, ველოსპორტის ტრადიციების შემდგომი განვითარებისთვის. ყოველწლიურად ეწყობა შეჯიბრებები, სპარტაკიადები, კომპლექსური ტურნირები...

კოლეგიამ ამასთან ერთად აღნიშნა რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები: ჯერ კიდევ სუსტია სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი როლი კოლექტივებში გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის კოორდინაციის საქმეში, ნაკლებია მისი კონტაქტი კოლექტივებთან, ხშირად არ სრულდება კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც ზოგჯერ კონკრეტულ ამოცანებს არ სახავენ. სპორტკომიტეტი, „განთიადისა" და „კოლმეურნის" რაისაბჭოები, განათლების განყოფილების სპორტული სკოლა სათანადოდ არ რეაგირებენ ზემდგომი სადირექტივო ორგანოების მითითებებზე.

რაიონში დაბალია ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაცია-პროპაგანდის დონე, სპორტულ ბაზებზე ვერ ნახავთ პლაკატებს, ლოზუნგებს, მოწოდებებს... იშვიათად ეწყობა საჩვენებელი გამოსვლები, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, სპორტული საღამოები, ლექცია-საუბრები და სხვა საგიტაციო ღონისძიებანი. ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დაბალი დონე იმანაც განაპირობა, რომ აქ დღემდე არ შეუქმნიათ შესაბამისი ხელმძღვანელი სექცია.

ცუდად მუშაობს რაიონის განათლების განყოფილების სპორტული სკოლა (დირექტორი გ. კაჭარავა). 13 მწვრთნელიდან, რომლებიც ხელფასს იღებენ, მხოლოდ კალათბურთის ერთი ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტაციაა წესრიგში, სხვებს აღრიცხვის ჟურნალები და 1977-1978 სასწავლო წლების ანგარიშებიც კი არ გააჩნიათ ჩატარებული მუშაობის შესახებ. სპორტსკოლაში ბევრი სხვა საკითხიც მოუგვარებელია. გასული სასწავლო წლის მანძილზე აქ ერთი ჯგუფის საქმიანობაც არ შეუმოწმებიათ, ხოლო სპორტული შეჯიბრებების საბუთები მოუგვარებელია. „იმედის სტარტების" ოქმები დაუთარიღებელი და მსაჯების მიერ ხელმოუწერელია, განაცხადებზე ექიმის ვიზას არავინ თხოულობს...

რაიონის სპორტსკოლის ცუდი მუშაობის ბრალია, რომ აქაურმა სპორტსმენებმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წლეულს XVI ადგილი დაიკავეს (შარშან V).

სპორტსკოლაში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არავითარი ყურადღება არ ექცევა მშდ კომპლექსის მრავალჭიდის დანერგვას. ამ რაიონის მრავალჭიდელებმა რესპუბლიკის მოსწავლეთა წინა სპარტაკიადაზე დაკავებულ XVI ადგილიდან წლეულს XIX ადგილზე გადაინაცვლეს.

რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სათანადოდ არ ზრუნავენ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა შეჯიბრების ჩატარების ორგანიზებისთვის. კოლექტივების უმრავლესობაში არ ეწყობა პირველი ეტაპის ტურნირები. ფიქტიურია მშდ რაიონული კომისია და ინსპექცია.

სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების ცუდი მუშაობის გამო შეჯიბრებების დონე დაბალია. კალენდარული გეგმა არ სრულდება. ყველა ამან განაპირობა, რომ რაიონიდან რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში არც ერთი სპორტსმენი არ არის.

რაიონულ ცენტრში ოთხი წლის წინ სტადიონის მშენებლობა დაიწყო. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მისი აგების დაჩქარებისთვის „სპორტლოტოს" სახსრებიდან 70 ათასი მანეთი გამოყო. ეს თანხა დაიხარჯა, ბაზა კი მწყობრში ჯერ არ ჩამდგარა...

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ აბაშის რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის დასახა სათანადო ღონისძიება. სუსტად მუშაობისთვის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ს. ტყებუჩავას დაედო სასჯელი. ამასთან, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სთხოვა მიიღოს ქმედითი ზომები განათლების რაიონული განყოფილების სპორტული სკოლის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მშდ კომპლექსზე საქმიანობის საფუძვლიანად გაუმჯობესებისთვის.

# ობიექტივში საჩხერე

## ახალი ზღუდეების დასაძლევად

**საჩხერეში** რომ მივემგზავრებოდით, პრესის საშუალებით წინასწარ უკვე ბევრი რამ ვიცოდით მის შესახებ. ვიცოდით, რომ საჩხერე ერთ-ერთი მოწინავე აგრარულ-სამრეწველო რაიონია. აქ მოქმედი შვიდი საწარმო წელიწადში 15 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებს, რაც ერთნახევარჯერ მეტია წინა ხუთწლედის მონაცემებზე. საჩხერის მარკით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იგზავნება საუკეთესო ხარისხის ღვინოები, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვები, ნატურალური წვენები, საყალიბე ქვიშები... რაიონში აღმავლობის გზას ადგას სოფლის მეურნეობა, რომლის წინაშე ახალი ამოცანები დასახა სსრ კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა.

ერთი სიტყვით, კარგად ვიცოდით, რომ საჩხერის რაიონი წარმატებით იპყრობს ახალ-ახალ ზღუდეებს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. რაიონში ამჟამად არ არის არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, უბანი. ჩვენს შესავალში არაფერი გვითქვამს საჩხერელ სპორტსმენებზე, თუმცა რაიონის მიერ ბოლო წლებში მოპოვებულ წარმატებებში მათაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით.

საჩხერის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე, მის პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის მეორე მდივანი **თენგიზ ტრაპაიძე**.

— **ცნობილი** ფაქტია: ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის აუცილებელი პირობაა თანამედროვე სპორტული ბაზები, სათანადო კონტინგენტი და თავისი საქმის კარგად მცოდნე მწვრთნელები. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებამდე საჩხერელი სპორტსმენები ძალზე ცუდ პირობებში იყვნენ, ასობით ბიჭუნასა და გოგონას სპორტულ სექციებში ჩაბმის საშუალება არ ჰქონდა. არა და სპორტული ბაზების სიმცირის გამო ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი, კალათბურთელი, მოჭიდავე დაჰკარგა ქართულმა სპორტმა. თუმცა მედლების ბრჭყვიალი და რეკორდები იქით იყოს, სპორტი ხომ პირველ რიგში ჯანმრთელობისა და სიმხნევის უშრეტი წყაროა!

ბოლო წლებში რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების შემდგომ განვითარება-გაფართოებას. მდინარე ყვირილის თვალწარმტაც სანაპიროზე, ლენინური კომკავშირის სახელობის ხეივანში უკვე მიმდინარეობს ჩინებული სპორტული კომპლექსის მშენებლობა. მალე იგი საჩხერელ მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის კერად იქცევა.

...**ჩვენ** საშუალება გვქონდა გავცნობოდით აღნიშნული ობიექტის გენერალურ გეგმას, რომლის პროექტი ეკუთვნის საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს საპროექტო ბიუროს (უფროსი გ. ცხაკაია, პროექტის ინჟინერი ვ. ცომაია). ვათვალიერებთ გენერალურ გეგმას და ჩვენს წარმოსახვაში მომხიბვლელი სურათი ისახება. მალე კომკავშირის ხეივანში აიგება 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზი, ეს კი ასობით საჩხერელ გოგონასა და ბიჭუნას საშუალებას მისცემს ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში ჩაებან და ის „აქილევსის ქუსლი“, რომელიც რაიონში ხელს უშლიდა მშდ-ს ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, აღარ იარსებებს. მწყობრში ჩადგება აგრეთვე, სპორტული კორპუსი, დარბაზი (30×18 მ), ორ-ორი სტანდარტული მოედანი ხელბურთისა, ფრენბურთისა და კალათბურთისა. გენერალური გეგმის გაცნობის შემდეგ ადგილზე ვინახულეთ კომკავშირის ხეივანი. აქ უკვე ფეხბურთელთა განკარგულებაშია სტადიონი, ეს არის რომ ტრიბუნების მშენებლობა გრძელდება, მალე იგი 10000 გულშემატკივარს უმასპინძლებს, დასამთავრებელია მძლეოსნური სექტორებიც.

**დაბეჯითებით** შემიძლია ვთქვა, — განაგრძობს თენგიზ ტრაპაიძე, — რომ ორ წელიწადში ჩვენს რაიონში ბაზების პრობლემები აღარ იქნება. ეს კი ახალი სპორტული ზღუდეების დასაძლევად განგვაწყობს.

1977 წლის 2 ივლისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა: „ჰოდა, რა გამოდის: ბავშვი ნახევარ დღეს კლასში იჯდა. შინ მივიდა და ისევ ზის. ამჯერად უკვე გაკვეთილებს ჩაუჯდა, გაკვეთილებს რომ მორჩა, ისევ დაჯდა, — ტელევიზორის ეკრანს მიუჯდა. ასე რომ ბავშვს სულ აღარ რჩება იმის დრო, რომ ფიზკულტურასა და სპორტს მისდიოს, ინავარდოს და ითამაშოს. ასე ჩაიყოლია ჩვენი ბავშვების ნაწილი ჩვენი საუკუნის უბედურებამ — „ჰიპოდინამიამ“ (ნაკლებმოძრავმა ცხოვრებამ). ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი თვალსა და ხელს შუა იცვლება: გასუქდა, რაღაც ტლანქი გახდა, მოდუნდა, დასჩემდა ისეთი დაავადებები, რომლებიც წინათ არ იყო სპეციფიკური ბავშვთა ასაკისათვის. ამაზე მშვიდად ვერ ვილაპარაკებთ, ჩვენ უნდა შეგვაშფოთოს ასეთმა ტენდენციებმა“.

ამ მცირე ნაწყვეტში ლაკონიურად არის დასმული ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემა — ბავშვთა, ჩვენი ხვალინდელი დღის ჯანმრთელობის საკითხი. ამ პრობლემის გადაჭრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი რაიონის პარტიული ხელმძღვანელობა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ორი წლის განმავლობაში საჩხერეში საკმაოდ მდიდარი სპორტული ბაზები გვექნება. სპორტულ ბაზებს კი ცხადია მოცლა არ უნდა ჰქონდეს. განზრახული გვაქვს საჩხერეში გავხსნათ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული კომპლექსური სპორტული სკოლა, სადაც გოგო-ბიჭებს საშუალება ექნებათ ჩაებან და ივარჯიშონ ცურვაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში... ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელება ჩვენს ძალებს აღემატება. უკვე მივმართეთ თხოვნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. ჩვენი წინადადება ყურადღებით განიხილეს. იმედი გვაქვს მალე სათანადო დახმარებასაც აღმოგვიჩენენ.

ვიდრე საუბარს დავამთავრებდე მინდა ორიოდე სიტყვით ჩვენს მწვრთნელებზეც ვთქვა. ის წარმატებები, რომლებიც ამ ბოლო წლებში საჩხერელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, სწორედ მათი დაუღალავი შრომის შედეგია. ასეთი მწვრთნელები არიან: ტანმოვარჯიშეთა აღმზრდელი გ. პაპაშვილი, ე. დვალი (ძალოსნობა), ე. ღამბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა), ტ. ტყემალაძე (ძიუდო)... მაგრამ მიღწეული, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია. საჩხერელ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს ახალი ამოცანები აქვთ გადასაჭრელი, ახალ-ახალი ზღუდეები აქვთ დასაძლევი.

## გაკვეთილს ატარებს გიორგი მაჭავარიანი

**ძველი** სკოლის შენობა მნახველის თვალს მაინცდამაინც ვერაფრით ახარებს. კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები კი არა, აქ საკლასო ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიებიც აკლიათ. ერთი სიტყვით პირველი შთაბეჭდილება სურვილს გვიკარგავს სკოლის სპორტულ ცხოვრებაზე წერილის დაწერისას და ის ფაქტებიც, რომლებიც რაიონულ სპორტკომიტეტში, სოფელ ჩიხის სკოლაზე მოგვაწოდეს, უკვე რეალობას მოკლებულად გვეჩვენება.

სკოლის ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი გიორგი მაჭავარიანი მორიგ გაკვეთილზე გვიწვევს. აქვე უნებურად ერთი კითხვაც შეიძლება დაებადოს მკითხველს — სად ტარდება გაკვეთილი, თუ კი სკოლას სპორტული დარბაზი არ გააჩნია? დიახ, დარბაზი მართლაც არა აქვს სოფლის ძველ სკოლას, მაგრამ ღია სპორტული მოედნები კი შესაშურად მოუწყვიათ.

ამ ათიოდე წლის წინათ, გიორგი მაჭავარიანი ჩიხის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად რომ გადაიყვანეს, მუშაობის არავითარი პირობები არ გააჩნდა, მაგრამ ამაგდარი აღმზრდელი ამას როდი შეუშინდა — მკლავები დაიკაპიწა, სხვებიც აიყოლია და სკოლის გვერდით, კოლმეურნეობის ზვრების განაპირას მშვენიერი სპორტული ბაზა მოაწყვეს. მოსწავლეების განკარგულებაშია კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მინი-ფეხბურთის მოედნები. მალე მოსწავლეთა ხელითვე დარგული აკაციები და ალვის ხეებიც წამოიზარდნენ და სპორტული კომპლექსი ერთიორად დამშვენდა.

ვუყურებთ ჭაღარა პედაგოგის გ. მაჭავარიანის გაკვეთილს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის უნარში — ერთი წუთიც არ იკარგება უქმად. გამამხნევებელი ვარჯიშები, მოძრავი თამაშობანი... ყოველი მოსწავლე მისი ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით არის ჩაბმული გაკვეთილში. უქმად არავინ არის. გიორგი მაჭავარიანიც სპორტულ ფორმაში გამოწყობილა, ხან ერთ ბავშვთანაა, ხან მეორესთან, ხან ერთს წააშველებს ხელს, ხან კიდევ მეორეს.

მაჭავარიანის მოსწავლეები სპორტული შედეგებით არავის ჩამორჩებიან. ჩიხის სკოლას არაერთხელ აქვს მოპოვებული წარმატებები კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მძლეოსანთა რაიონულ პირველობებზე. „იმედის სტარტების“ მეორე რესპუბლიკურ პირველობაზე კი ჩიხის სკოლის მეშვიდეკლასელებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

## „მოთამაშე“ — მწვრთნელი

**მწვრთნელმა** ბიჭის ღონიერ გულმკერდსა და მკლავებს შეავლო თვალი და ორიოდე სავარჯიშო შეასრულებინა. ბიჭმა სხარტად შეასრულა მითითება. ოსტატმა მოწონების ნიშნად გაიღიმა და შეგირდი მორიგ საწვრთნელ მეცადინეობაზე დაიბარა.

ასე დაიწყო კიდევ ერთი სოფლელი ბიჭის სპორტული ბიოგრაფია, თუმცა რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი დღეს პროფკავშირული საზოგადოებების საკავშირო ასპარეზობის რეკორდსმენი, რესპუბლიკის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი წევრი, სპორტის ოსტატი ელგუჯა დვალი გახლავთ. მწვრთნელი კი ბევრი კარგი ძალოსნის აღმზრდელი ანდრო თურმანიძეა.

დამწყები ძალოსნის სპორტული გზა კი მაშინ ასე გაგრძელდა: მეორე დღეს ელგუჯა დაუგვიანებლად გამოცხადდა მეცადინეობაზე და დაიწყო ჭიდილი რკინასთან. ჭიდილი მეტად მიმზიდველი და აზარტული. დრო შეუმჩნევლად გადიოდა. ბიჭი თანდათანობით ოსტატდებოდა, ვაჟკაცდებოდა და კვლავ შეუპოვარი ვარჯიში. წვრთნა ერთია, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ელგუჯა სავარჯიშოდ საჩხერიდან 12 კილომეტრით დაცილებულ ქალაქ ჭიათურაში დადიოდა, მაგრამ ყოველდღიურად გრძელი გზის გავლის სიძნელეს აადვილებდა დაუოკებელი ლტოლვა რკინასთან ჭიდილისა, ეს გრძნობა ხომ ასე ნაცნობია ძალოსნებისთვის.

სკოლის დამთავრების შემდეგ სპორტის სიყვარულმა ე. დვალი ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა. დედაქალაქში წვრთნის უკეთესი პირობები იყო. სტუდენტობის რომანტიკით აღსავსე წლებმა შეუმჩნევლად გაირბინეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიპლომიანი სპეციალისტი და უკვე სსრ კავშირის სპორტის ოსტატი მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა.

ახალგაზრდა სპეციალისტის წინ ახალი სარბიელი გადაიშალა. რაიონში მრავლად იყვნენ ძალოსნობის, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის მოყვარულნი, მაგრამ წვრთნისთვის აუცილებელი ძალოსნობის დარბაზი საჩხერეს არ გააჩნდა. ენთუზიაზმმა თავისი გაიტანა. მალე ძალოსნები საკონსერვო ქარხანამ შეიფარა.

ახალგაზრდა სპეციალისტმა საჩხერეში ძალოსნობის ყამირი გატეხა. პირველი ნაბიჯები ჩვეულებრივ მოკრძალებული იყო. დვალი ხომ მწვრთნელობასთან ერთად „მოთამაშეც“ იყო და საკუთარ ოსტატობის ზრდაზეც უნდა ეზრუნა, მაგრამ შრომისმოყვარეობამ და დიდმა მონდომებამ თავისი გაიტანა. ახალგაზრდა მწვრთნელმა (იგი 27 წლისაა) აღზარდა სპორტის ოსტატი ამირან ჭიტაძე, ოსტატობის კანდიდატი იაკობ გაფრინდაშვილი, პირველთანრიგოსნები თეიმურაზ მაისურაძე, ზაქრო ქურციკიძე და სხვები. თვით ელგუჯა კი როგორც აღვნიშნეთ, ჩინებული ძალოსანია და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ წამყვან წევრად ითვლება.

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის გადაწყვეტილებები მოქმედებაში



სურათზე: „იმედის სტარტების“ რაიონული შეჯიბრების ფრაგმენტი.

## ყურადღება, ვეძებთ ტალანტებს!

**ვარჯიში** დამთავრდა. დარბაზში სიმყუდროვე ჩამოწვა. მაგიდას ჭაღარა მწვრთნელი მისჯდომია და დღიურს ჩაჰკირკიტებს. დროდადრო შენიშვნებს იწერს და კვლავ ფიქრობს. საჭიროა მორიგი საწვრთნელი მეცადინეობის სათანადოდ დაგეგმვა, რომ სპორტსმენები უახლოესი შეჯიბრებისთვის საუკეთესო ფორმაში იყვნენ.

მეორე წელია საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა და პედაგოგმა გიორგი პაპაშვილმა დედაქალაქი მიატოვა და საჩხერის რაიონს მიაშურა. არა, ეს ხელმოცარული კაცის ნაბიჯი როდი იყო. თბილისის მეოთხე საშუალო სკოლაშიც, სადაც იგი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა, მრავალი კეთილი საქმის მოთავე გახდა. თუმცა მის წარმატებებზე, როგორც მწვრთნელზე და როგორც სკოლის პედაგოგზე ფაქტებიც ნათლად მეტყველებენ: გ. პაპაშვილის აღზრდილ მრავალ ტანმოვარჯიშეს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება აქვთ მინიჭებული, თვით პატივცემული გიორგი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი და პედაგოგია.

მაშ რამ აიძულა კაცი, დედაქალაქის კომფორტს გასცლოდა და რიგითი რაიონული მწვრთნელის მანტია წამოესხა? — შესაძლოა ვინმემ, საქმეში ჩაუხედავმა ასეთი კითხვაც დასვას, მაგრამ ამ კითხვაზე ნათელ პასუხს თვით ამაგდარი მწვრთნელის მოღვაწეობა იძლევა.

ამ ორიოდე წლის წინათ პაპაშვილი საჩხერეს რომ ეწვია, მაშინვე სპორტული ტანვარჯიშის სექციის გახსნაზე ზრუნვა დაიწყო. ამჯერადაც, ისე, როგორც ყველა კარგი საქმის დასაწყისში, ბევრმა სიძნელემ იჩინა თავი — რაიონში საგანგებო ტანვარჯიშული დარბაზი არ არსებობდა, მაგრამ ამან ვერ შეძლო ინიციატივის ჩახშობა. რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით ტანმოვარჯიშეთა სექცია სოფლების არგვეთისა და სავანის ბაზებზე ჩამოყალიბდა. განცხადების გაკვრაც არ გამხდარა საჭირო, სპორტული ტანვარჯიშის სექციას ათობით გოგო-ბიჭი მოაწყდა.

ტანვარჯიში სპორტის რთული სახეობაა, მასში დაოსტატებას სრულყოფილი სპორტული ბაზა და სათანადო ინვენტარი ესაჭიროება. ასეთი პირობები კი საჩხერელ ტანმოვარჯიშეებს ჯერჯერობით არ გააჩნიათ. დიახ, ჯერჯერობით! ამ სიტყვას ხაზს განგებ ვუსვამთ, რადგან კომკავშირის ხეივანში, სადაც ჩინებული სპორტული კომპლექსის აგებაა განზრახული, ტანმოვარჯიშეთათვისაც აშენდება სათანადო ბაზა. მანამდე კი გ. პაპაშვილის აღსაზრდელები უქმად როდი არიან, ბევრმა მათგანმა უკვე შეასრულა მეორე თანრიგის მოთხოვნები, ესენი არიან: მ. მ[illegible], ი. ღონღაძე, თ. მაკასა[illegible], თ. ცარციძე, ნ. ხიხაძე...

მწვრთნელი კვლავ განაგრძობს ტალანტების ძიებას და ოცნებობს იმ დღეზე, როცა პირველი საჩხერელი ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატის ნორმატივს შეასრულებს.

გვერდის მასალები მოამზადა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა, სპორტის ოსტატმა ოთარ კ[illegible]

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-20 ტურის ტექნიკური მონაცემები.

„ტორპედო“ — „არარატი“ 1:0. ერთადერთი ბურთი 78-ე წუთზე გაიტანა ვასილიევმა.

დუბლიორები — 2:1.

ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 2:4. ანგარიში გახსნა მე-4 წუთზე დინამოელმა მინაევმა. არმიელთა კარში ტაიმის ბოლომდე კიდევ ორი ბურთი გავიდა — დოლმატოვი (32 წთ.) და მაქსიმენკოვი (42, 11-მეტრიანი დარტყმით). არმიელმა კოლპოვსკიმ (52) ერთი გოლი გაქვითა, ხოლო კოლესოვმა (61) მეოთხე ბურთი გაიტანა. დინამოელთა მცველმა ნოვიკოვმა საკუთარ კარში გაიტანა გოლი (64). გაფრთხილებულია არმიელი შვეცოვი.

დუბლიორები — 1:1.

„დნეპრი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0. 88-ე წუთზე დნეპროპეტროვსკელმა კრამარენკომ გაიტანა გოლი. მანამდე სტუმართა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა სამოილენკომ (71).

დუბლიორები — 0:1.

„ჩერნომორეცი“ — „ფახთაქორი“ 4:1. მე-7 წუთზე სტუმართა კარში 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა პლოსკინამ. ტაიმის მიწურულს (43 წთ.) შეპელმა ერთი ბურთით გაზარდა ანგარიში. შემდეგ ტაშკენტელმა ბაკანოვმა (70) ერთი გოლი გაქვითა, რაზედაც მასპინძლებმა ლეშჩუკმა (83) და გოლოვინმა (88) ორი გოლით უპასუხეს. გაფრთხილებული არიან ტაშკენტელები მაკაროვი და ზაგუმენიხი.

დუბლიორები — 3:1.

„ზენიტი“ — „ნეფთჩი“ 1:0. ბურთი 56-ე წუთზე გაიტანა რედკოუსმა. გაფრთხილებულია ბაქოელი კულამოვი.

დუბლიორების მატჩი არ შედგა.

„შახტიორი“ — „სპარტაკი“ 1:0. 65-ე წუთზე გოლი გაიტანა ლატიშმა.

დუბლიორები — 2:1.

„ლოკომოტივი“ — „ზარია“ 1:1. ჯერ მოსკოველმა შევჩუკმა (68 წთ.) გახსნა ანგარიში, შემდეგ კუზნეცოვმა (84) აღადგინა წონასწორობა.

დუბლიორები — 0:1.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 20 | 13 | 4 | 3 | 26—13 | 30 |
| „შახტიორი“ | 19 | 13 | 2 | 4 | 27—15 | 28 |
| „ჩერნომორ“. | 20 | 9 | 7 | 4 | 30—17 | 25 |
| „დინამო“ მ. | 19 | 9 | 6 | 4 | 25—16 | 24 |
| „ტორპედო“ | 20 | 9 | 6 | 5 | 23—16 | 24 |
| ცსკა | 20 | 10 | 3 | 7 | 26—28 | 23 |
| „დინამო“ კ. | 20 | 7 | 7 | 6 | 25—17 | 21 |
| „ზენიტი“ | 20 | 7 | 7 | 6 | 22—23 | 21 |
| „სპარტაკი“ | 20 | 7 | 4 | 9 | 24—24 | 18 |
| „ნეფთჩი“ | 20 | 6 | 5 | 9 | 15—17 | 17 |
| „ფახთაქ“. | 20 | 5 | 6 | 9 | 26—30 | 16 |
| „ზარია“ | 20 | 5 | 6 | 9 | 23—29 | 16 |
| „ქაირათი“ | 20 | 5 | 6 | 9 | 17—25 | 16 |
| „ლოკომოტ“. | 20 | 4 | 7 | 9 | 17—28 | 15 |
| „არარატი“ | 20 | 6 | 2 | 12 | 12—26 | 14 |
| „დნეპრი“ | 20 | 4 | 2 | 14 | 14—28 | 10 |

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

სათადარიგო შემადგენლობანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 20 | 13 | 3 | 4 | 31—10 | 29 |
| ცსკა | 20 | 10 | 9 | 1 | 30—15 | 29 |
| „ნეფთჩი“ | 19 | 10 | 6 | 3 | 26—20 | 26 |
| „დინამო“ კ. | 20 | 10 | 4 | 6 | 25—21 | 24 |
| „დინამო“ მ. | 19 | 8 | 7 | 4 | 24—14 | 23 |
| „არარატი“ | 20 | 7 | 9 | 4 | 29—18 | 23 |
| „შახტიორი“ | 19 | 9 | 4 | 6 | 24—17 | 22 |
| „ჩერნომორ.“ | 20 | 9 | 4 | 7 | 21—23 | 22 |
| „სპარტაკი“ | 20 | 7 | 5 | 8 | 25—19 | 19 |
| „ფახთაქორი“ | 20 | 6 | 6 | 8 | 22—25 | 18 |
| „ტორპედო“ | 20 | 7 | 3 | 10 | 29—25 | 17 |
| „ლოკომოტ.“ | 20 | 5 | 5 | 10 | 18—31 | 15 |
| „ქაირათი“ | 20 | 4 | 6 | 10 | 19—29 | 14 |
| „ზარია“ | 19 | 4 | 5 | 10 | 18—38 | 13 |
| „ზენიტი“ | 18 | 3 | 5 | 10 | 13—32 | 11 |
| „დნეპრი“ | 20 | 0 | 9 | 11 | 12—27 | 9 |

### ახლა ბრაზილიელებმაც...

**ბრაზილიის** ფეხბურთის ექსპერტების კონსტატაციით, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების შედეგიანობა მკვეთრად დაეცა. მათი წინადადებით მიღებულია გადაწყვეტილება (როგორც ეს ევროპის რიგ ქვეყნებშია), რომ ნულოვანი ანგარიშის დროს ქულები არც ერთ გუნდს არ დაერიცხება.

## ფეხბურთი

## ხვალ ფინალია

„მზიური“ — „მაღაროელი“

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ხვალ გაიმართება საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში გალის „მზიურსა“ (მწვრთნელი ა. გრძელიძე) და ჭიათურის „მაღაროელს“ (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი) შორის.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში „მზიურმა“ დაამარცხა თერჯოლის „ენერგეტიკოსი“ (3:0), ხოლო „მაღაროელმა“ ანგარიშით 1:0 — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

შეხვედრა, რომელსაც სჯის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. მიმინოშვილი, დაიწყება 19 საათზე. შესვლა თავისუფალია.



ტურის სტუმარი

## გ. ტოპორნინი: საქმეს კარგი პირი უჩანს

**ინტერვიუს** აღება შესაძლებელია მიკროფონით ხელში ტელე ან კინოკამერის წინ, შესაძლებელია ტელეფონით, თქვენთვის საინტერესო საკითხებზე პასუხების მიღება შეიძლება საფოსტო კონვერტითაც. ასეთი ტექნოლოგიით მზადდება ამ ჟანრის თითქმის ყველა მასალა, თუმცა ყველა ეს საშუალება მაინც უნდა აკმაყოფილებდეს ერთ პირობას — უნდა არსებობდეს რეალური თანამოსაუბრე.

მაგრამ თუ თანხმობის ნაცვლად ტელეფონის ყურმილში ისმის მშრალი „არ შემიძლია“? მაშინ ჟურნალისტური აზარტით ატანილი, მაინც მტკიცედ გადაწყვეტ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, შენი აისრულო.

მკითხველისთვის მთელი ამ მცდელობის მსვლელობა ჩემს პროფესიულ საიდუმლოდ დარჩეს, მთავარია, რომ მატჩის შემდეგ მაინც მოვახერხე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის **ბორის ტოპორნინის** დაყოლიება.. მაშინვე პირველი უარის მიზეზიც ვკითხე.

— ფეხბურთის მოყვარულნი ჩვენს კომისიას პირველყოვლისა როგორც „დამსჯელს“ ისე იცნობენ. ბუნებრივია, ვცდილობთ, რომ არავინ დაეჭვდეს ჩვენს სიმპათიებში რომელიმე გუნდის მიმართ, ჩვენს სუბიექტურობაში. ამიტომაც გავურბივართ ჟურნალისტებს.

**— პირობას გაძლევთ არ დავარღვიო თქვენს მიერ მონიშნული საზღვრები, დავიწყოთ იმით, რომ სპორტულ-ტექნიკური კომისია მხოლოდ დასასჯელად არ არის მოწოდებული. გვიამბეთ მის სტრუქტურაზე, უფლებებზე, ადამიანებზე, რომლებიც იქ მუშაობენ.**

— ჩვენი კომისია არაერთგვაროვანია. აქ ნახავთ საზოგადოებრიობის, სპორტულ უწყებათა წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და ყოფილ სპორტსმენებს. დაგისახელებთ ზოგიერთს: კუზნეცოვი, მოშკარკინი, იაშინი, აკიმოვი, ბერეზოვსკი. დარწმუნებული ვარ ეს სახელები ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ჩვენი მუშაობის საფუძველთა საფუძველი აღზრდის საკითხები, ფეხბურთელთა ეთიკა, მათი მაღალი სათამაშო კულტურაა. სადისციპლინო ზომებიც სპორტსმენთა „განათლებაში“ არსებული ნაკლოვანებათა შედეგია. ჩვენი კომისიის კომპეტენციაში შედის შეჯიბრების ჩატარების ხარისხის შეფასება, რომელშიც ანგარიშს ვუწევთ, ვიხილავთ თითქმის ყველაფერს — დაწყებული მსაჯთა და კომისართა მოხსენებებით და გათავებული გუნდების პროტესტებით. საკმაოდ ხშირად ვმართავთ სხდომებს და საერთოდ, ჩვენი კომისია ფეხბურთის სამმართველოს ერთ-ერთ აქტიურ უბნად ითვლება.

**— სპორტულ ტექნიკურ კომისიაში მუშაობა თქვენი ჰობია თუ იურიდიული მოღვაწეობის გაგრძელება?**

— არა, რას ამბობთ! მე ახლა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების სექტორს ვხელმძღვანელობ. ჩემს საქმიანობაში ვერსად მოძებნით „მახვილისა და გოლის“ სულისკვეთებას. უბრალოდ, საოცრად მიყვარს ფეხბურთი და მოხარული ვარ, რომ მომეცა შემთხვევა ვემსახურო მას, მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

**— წლევანდელი სეზონის დასაწყისში ჩვენს ფეხბურთში აღინიშნა უპრეცენდენტო შემთხვევა — სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ „წითელი ბარათი“ უჩვენა მწვრთნელებს ვალენტინ ივანოვსა და სტანისლავ კამინსკის. რა იყო ეს, თქვენი მუშაობის ახალი ფორმა თუ აუცილებლობა?**

— ერთიც და მეორეც. სამწუხაროდ ბევრ სტადიონზე სამსაჯო ოთახები მატჩების შემდეგ სიტყვიერი შეტაკებების ადგილად იქცევა ხოლმე, სადაც მწვრთნელები ერთობ თავშეუკავებლად გამოთქვამენ მოსაზრებებს მსაჯთა ამა თუ იმ გადაწყვეტილებათა გამო. შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული და თითქოსდა შეიძლებოდა დაუმსახურებლად დასჯილი გუნდის შებრალება. მაგრამ ამგვარ სიტუაციებშიც კი მწვრთნელებს არა აქვთ უფლება დაკარგონ აღმზრდელის სახე. ხოლო როცა გადადიან ყველა საზღვარს, მიმაჩნია, რომ მათ მიმართ ყველაზე მკაცრი ზომები სამართლიანია. ერთი რამ მინდოდა მეთქვა: მატჩამდე ერთი დღით ადრე შევხვდი „დინამოსა“ და „ქაირათის“ ხელმძღვანელებს და წინასწარ გავაფრთხილე შესაძლო გართულებების თაობაზე. ძალზე სასიამოვნო რჩყო იმის მოსმენა, რაც ყველას გასაგონად ნოდარ ახალკაცმა თქვა: „ჩვენი გუნდი არასოდეს საჭიროებს თავზე ხელის გადასმასა და მფარველობას. ყველაფერი პატიოსანმა ორთაბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს“.

**— მატჩის შემდეგ ახალკაცმა დაადასტურა მსაჯის მართებული გადაწყვეტილება, რომელმაც არ ჩათვალა მეორე გოლი „ქაირათის“ კარში.**

— იმ შემთხვევაში თუ პასიურ თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი ყიფიანი ბურთს არ შეეხებოდა, გოლი ალბათ ჩაითვლებოდა. მაგრამ ის ბურთთან ყველაზე ახლოს იყო და როგორც ნამდვილ ფეხბურთელს შეჰფერის, ხელიდან არც გაუშვა ასეთი კარგი შესაძლებლობა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამგვარი გოლები ჯერჯერობით „კანონგარეშეა“ გამოცხადებული. ნოდარ ახალკაცმა ამის შესახებ პირადად უთხრა კადეტოვს. უნდა გენახათ როგორი გაკვირვებითა და სიხარულით განათდა ამ ნაცადი არბიტრის სახე. საოცარი ამაში არაფერია — მას შესთავაზეს არა უბრალოდ ენაზე მომდგარი ქათინაური, არამედ პატივისცემა გამოიჩინეს მისი პროფესიისა და პროფესიული ცოდნის მიმართ.

**— ვფიქრობთ, თვით თამაშსაც მივუახლოვდით.**

— ამ შემთხვევაში ვილაპარაკებ როგორც მაყურებელი. მატჩი საინტერესო გამოდგა და თბილისელთა დიდი უპირატესობით წარიმართა. თუმცა ბოლო ათ წუთში კინაღამ საყაიმო შედეგით არ აღინიშნა. და მაინც, ალმაათელებმა ეს მიკრომატჩიც წააგეს, წააგეს 0:1-ზე. მართალია, არც თბილისელთა მთელ გუნდთან, მაგრამ პირადად კოსტავასთან კი ნამდვილად — ახალგაზრდა მცველმა თავგანწირვითა და რაც მთავარია, ოსტატურად ითამაშა.

**— საერთო შთაბეჭდილება გუნდზე?**

— ვშიშობ, რომ ახალს ვერაფერს ვიტყვი. ეს მეგობრული, კარგად შეკრული, ბრძოლისუნარიანი კოლექტივი ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტია. თუმცა მას ჯერ კიდევ აკლია საკუთარი ძალების რწმენა. ეს ყველაფერი საყოველთაოდ ცნობილი პლუსები და მინუსებია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ თანაფარდობაში გამოისახება ერთიცა და მეორეც. ჯერჯერობით საქმეს კარგი პირი უჩანს.

საუბარი ჩაიწერა
თ. სულხანიშვილმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე თავის გამოსვლაში თქვა, რომ „ჩვენი ქვეყნის კომკავშირელები დიდი ენთუზიაზმით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, აქტიურად იბრძვიან ქვეყნის განვითარების გეგმების შესასრულებლად. ყველა საქმეში შეაქვთ თავიანთი განსაკუთრებული რომანტიული სულისკვეთება, და მე ვიტყოდი, ახალგაზრდული შემართება“.

ენთუზიაზმი, შემოქმედებითი აზრების გაბედული მოზღვავება, ენერგია და ახლის ძიება ნათლად აისახა საკავშირო ალკკ 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრალურ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში. მათი დიდი ნაწილი უკვე დაინერგა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ბევრ სიახლეს ნახავენ საგამოფენო დარბაზში სპორტის მოყვარულები. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

## ახალგაზრდობის შემოქმედება

### სპორტული თვითმფრინავი იაკ-50

უმაღლეს პილოტაჟში VII მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა მფრინავებმა ურთულესი ფიგურები ბრწყინვალედ შეასრულეს. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა და უკან ჩამოიტოვა აშშ-ის, ინგლისის, გფრ-ის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ძლიერი გუნდები. ეს დამაჯერებელი გამარჯვება მოწმობს, როგორც საბჭოთა მფრინავების ოსტატობას, ისე ა. ს. იაკოვლევის სახელ. საცდელ საკონსტრუქტორო ბიუროში ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ შექმნილ თვითმფრინავ იაკ-50-ის ტექნიკურად სრულყოფას. პატარა ზომა და წონა, 360 ცხენისძალიანი ძლიერი ძრავა, მსუბუქი მართვადობა, კონსტრუქციის უბრალოება, მოხერხებული კაბინა — აი, უმაღლესი პილოტაჟისთვის განკუთვნილი ამ ფრთოსანი მანქანის ღირსებები. ერთადგილიანი თვითმფრინავის იაკ-50-ის მაკეტი გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატთაგანია.

### მათთვის, ვინც „სპორტლოტოს“ თამაშობს

ბოლო წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს საკავშირო სპორტული ლატარია „სპორტლოტო“. ამ თამაშის შემოსავლით ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში უკვე აიგო აბანო, სტადიონი, აუზი და სპორტული მოედანი.

მილიონობით ადამიანი თამაშობს „სპორტლოტოს“. როგორც ცნობილია, ყოველ კვირას ეწყობა ორი ტირაჟი. მოკლე დროში დიდი რაოდენობით ბარათების დამუშავებას საკმაოდ ბევრი ადამიანის დაძაბული მუშაობა ჰირდება. მალე სატირაჟო კომისიას დაეხმარება სავაჭრო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილი „სპორტლოტოს“ ბარათების აღმრიცხველი სპეციალური ავტომატი. ავტომატს აქვს ბარათის 49 ნომრის შესაბამისი 49 ლინზა. დაპროგრამების შემდეგ ელვისებურად ხდება რეგისტრაცია. მოგებული და წაგებული ბარათები ავტომატურად თავსდება ცალკ-ცალკე ყუთებში. წუთში 300 ბარათი — ასეთია ავტომატის მუშაობის სისწრაფე.

### სპორტი... ბინაში

პირველი სატელევიზიო გადაცემა შედგა მოსკოვში 1945 წლის 7 მაისს, რადიოს დღის პირველ დღესასწაულზე. მას შემდეგ ტელევიზორი არა მარტო დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, არამედ საწარმოო პროცესების აუცილებელი ნაწილი გახდა. სატელევიზიო კამერებს დგამენ ადამიანისთვის მიუწვდომელ ადგილებში და ისინიც სრულ ინფორმაციას იძლევიან მიმდინარე ოპერაციებზე. ტელევიზორის გამოყენების არე მუდმივად ფართოვდება. შრომითი დღის შემდეგ გინდა დაისვენო, გაერთო. ამაში დაგეხმარებათ ელექტრონის მისადგმელი „ექსი-ვიდეო“, რომლის მეშვეობით შინ შეგიძლიათ ითამაშოთ... ფეხბურთი, ჰოკეი, ჩოგბურთი. საქმე ისაა, რომ „ექსი-ვიდეო“ ჩვეულებრივი ტელევიზორის ეკრანზე ქმნის სხვადასხვა სათამაშო სიტუაციას. ამისთვის ორი მოთამაშიდან თითოეული სარგებლობს მისადგმელის მართვის სახელურებით.

### ხმელეთსა და წყალში

ეს ავტომობილი გარეგნულად რაკეტას ჰგავს. სისწრაფეც თითქმის კოსმოსური (500 კმ-ზე მეტი საათში) აქვს. ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის სტუდენტთა მიერ შექმნილი მანქანა („ხადი“) განკუთვნილია მიწაზე სისწრაფეში მსოფლიო რეკორდის (1200 კმ საათში) გასაუმჯობესებლად. ასეთი სისწრაფის განვითარებას ვარაუდობენ რეაქციული ძრავის დახმარებით. „ხადის“ გვერდით გამოფენის ღია მოედანზე სხვა საინტერესო ექსპონატებიცაა. მათ შორის ავტომობილი „ამფიბია“. დონეცკელი ვ. ტრუნოვის მიერ აწყობილი მანქანა არამარტო მიწაზე, არამედ წყლის ზედაპირზეც ივლის.

ავტომოყვარულთა ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ერევნელი ინჟინრის რ. ორდიანის მიერ აწყობილი მანქანა. ავტომობილის კარები იხსნება ვერტიკალურად, ზევით. ამასთან კარების განსაკუთრებული კონსტრუქცია ტენშეუღწევადობას უზრუნველყოფს. მანქანის მაქსიმალური სისწრაფეა 150 კმ საათში. იგი ძალიან მოსახერხებელია ტურისტული მოგზაურობის დროს.

აქვეა ყაზანის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტთა ექსპონატი — საფრენი აპარატი „ატოჟირი“, რომელიც შვეულმფრენს, პლანერსა და წყლის თხილამურს მოგვაგონებს. კატერზე მიმაგრებული აპარატი სრიალებს წყალზე წყლის თხილამურების მსგავსად, წყლის ზედაპირიდან 10 მეტრის სიმაღლეზე დაფრინავს, როგორც პლანერი და სიმაღლეს არეგულირებს შვეულმფრენის მსგავსად მბრუნავი ხრახნის საშუალებით.

### ველონავი

წყალზე სეირნობის მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ ველონავის მაკეტის მიმართ. ეს ექსპონატი განკუთვნილია სპორტული შეჯიბრებებისათვის, სამკურნალო მიზნისთვის და წყალზე სასეირნოდ. ექსპონატის გაბარიტული ზომებია 1500×900×700 მილიმეტრი, წონა — 50 კილოგრამი. მაკეტი დამზადებულია თბილისის ბენდელიანის სახელობის № 38 ტექნიკურ სასწავლებელში.

მ. ლარინი.

მსოფლიო პირველობაზე გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩის წინ.



# 1. ფიდე და ქალთა საჭადრაკო მოძრაობა

ქალთა საჭადრაკო მოძრაობამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფეხი მოიკიდა. შინაურ ტურნირებსა და მატჩებს 1897 წელს ლონდონში, ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი მოჰყვა. საზოგადოებრიობა ისე მოიხიბლა ამ პაექრობით, რომ ახალი საუკუნის დამდეგს კიდევ ორი მსგავსი ტურნირი მოეწყო. მას შემდეგ მოჭადრაკე ქალები უფრო ხშირად გამოდიან სარბიელზე.

1924 წლის 20 ივლისს პარიზში შექმნილმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ (ფიდე) თავის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ქალთა საჭადრაკო მოძრაობის განვითარება და ხელშეწყობა დაისახა. მან გააერთიანა ეროვნული ფედერაციები, რომელთაც ნიჭიერ მოჭადრაკეთა გამოვლენა დაავალა. 20-იან წლებში ევროპის ბევრ ქვეყანაში შესამჩნევად გახშირდა ქალთა ტურნირები, გამოჩნდნენ ძლიერი მოჭადრაკეებიც.

1925 წელს ციურიხში ფიდე-მ გადაწყვიტა შემოეღო ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ფიდე-ს პრეზიდენტმა ა. რიუბმა (ჰოლანდია) განაცხადა, რომ ამ ტიტულის დაწესება გააცხოველებდა ქალთა ინტერესს ჭადრაკისადმი, თვით მსოფლიო პირველობა დაამშვენებდა უძველეს თამაშს. მაშინვე ითქვა, რომ ეს შეჯიბრება გაიმართებოდა „ერთა ტურნირის" პარალელურად (ახლა ამ მსოფლიო გუნდურ პირველობას საჭადრაკო ოლიმპიადებს უწოდებენ).

და აი, 1927 წელს ფიდე-ს IV კონგრესის დღეებში ლონდონში მოეწყო ქალთა მსოფლიო პირველობაც. ბრძოლაში 12 ქალი მონაწილეობდა. ყველას ჩეხოსლოვაკიელმა ვერა მენჩიკმა აჯობა. მას პირველი მსოფლიო ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა, გადაეცა ოქროს მედალი და მისი სახელი და გვარი ამოიტვიფრა ფიდე-ს მიერ შემოღებულ ოქროს თასზე (ამჟამად ეს თასი მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ინახება).

ფიდე სისტემატურად აწყობდა ქალთა პაექრობას უმაღლეს დონეზე, თუმცა, ზოგჯერ ჩემპიონის ტიტულზე ხუთიოდე მოჭადრაკე აცხადებდა პრეტენზიას, რადგან ცოტა იყვნენ მოჭადრაკეები, რომლებსაც შეეძლოთ მენჩიკისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ქალთა საერთაშორისო ტურნირები ხანგამოშვებით ტარდებოდა, ამიტომ მენჩიკი და სხვა მოჭადრაკე ქალები უფრო ხშირად ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობდნენ.

1944 წელს მენჩიკი ტრაგიკულად დაიღუპა. 1947 წელს ჰააგაში ფიდე-ს XVII კონგრესმა სსრ კავშირის დელეგაციას დაავალა ქალთა მსოფლიო პირველობის სტატუსის გამომუშავება. XX კონგრესმა (1949 წ., პარიზი) საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მოსკოვში მოეწყოს ჩემპიონის გამოსავლინებელი ტურნირი და იმავე წლის მიწურულს 16 ცნობილი მოჭადრაკე ჩაება ბრძოლაში. ჩემპიონის გვირგვინი საბჭოთა ოსტატმა ლ. რუდენკომ დაისაკუთრა.

XXI კონგრესზე (1950 წ. კოპენჰაგენი) ფიდე-მ შემოიღო ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების სამწლიანი ციკლი, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს. 1969-1972 წლების ციკლამდე მოქმედებდა ასეთი სისტემა: ზონალური ტურნირები, პრეტენდენტთა ტურნირი და მატჩი მსოფლიო პირველობაზე. მერე იგი ნაწილობრივ შეიცვალა.

მსოფლიო პირველობის გათამაშების ამ სამართლიანმა და დემოკრატიულმა სისტემამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყანაში საჭადრაკო ცხოვრების გამოცოცხლებას, გახშირდა შეჯიბრებები, ეროვნული პირველობები. ინტერესი იმანაც გაალვივა, რომ 1950 წელს ფიდემ შემოიღო ქალთათვის საერთაშორისო ოსტატის წოდება, მსოფლიო ჩემპიონ ქალს კი — ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის წოდებაც ენიჭება.

60-იან წლებში თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავდა ძლიერი მოჭადრაკეები, რომელთაც მსოფლიო პირველობის პრეტენზიები ჰქონდათ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან 1957 წლიდან ფიდე-მ დასაბამი მისცა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებს, რომლებიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება.

ფიდე-ს გადაწყვეტილებით 1969 წლიდან მსოფლიო პირველობის გათამაშებაში შემოღებულ იქნა დამატებითი საფეხური — საზონათშორისო ტურნირი, ხოლო პრეტენდენტთა ტურნირის ნაცვლად პრეტენდენტთა ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. ჩანს, ვერც ამან დააკმაყოფილა მოჭადრაკე ქალთა მზარდი ნაკადის მოთხოვნები. 1975-1978 წლების ციკლში ფიდე-მ ორი საზონათშორისო ტურნირი გამართა და მსოფლიო ჩემპიონთა შეხვედრის უფლებისთვის პრეტენდენტთა მატჩებში დამატებით მეოთხედფინალური შეხვედრა შემოიღო.

შესამჩნევად გაიზარდა მოჭადრაკე ქალთა სპორტული და შემოქმედებითი მიღწევები. ფიდე-ს ქალთა კომისიის (თავმჯდომარე იუგოსლაველი მ. ლაზარევიჩი) მოთხოვნით 1976 წლის კონგრესმა ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება შემოიღო. დიდოსტატი 24 მოჭადრაკე გახდა. ეს, რა თქმა უნდა, ქალთა საჭადრაკო მოძრაობის დიდი მონაპოვარია.

ამ საამაყო წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის საბჭოთა მოჭადრაკეებს და მათს ლიდერს ნონა გაფრინდაშვილს. სწორედ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა წამოიწყო დიდი ბრძოლა ქალთა ჭადრაკის ემანსიპაციისთვის. მის ამ თავდადებას უკვე აქვს პირველი სასახელო მიღწევები: თვითონ ნონამ ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (პირველი ბალი) შეასრულა. ახლა უკვე არავის უკვირს, რომ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში მოჭადრაკე ქალებს იწვევენ. ისინიც თამამად მიჰყვებიან ნონას მიერ გაკვალულ გზას, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობის დღევანდელი პრეტენდენტი მაია ჩიბურდანიძეც დაადგა.

იქნება ცდება მ. ლაზარევიჩი, როცა ამბობს: გვაცადეთ 100 წელი და ჩვენ არამცთუ დავეწევით ვაჟებს, გავუსწრებთ კიდეცო. ეს ამბავი შეიძლება უფრო ადრეც, XX საუკუნის მიწურულს მოხდეს, თუ მოჭადრაკე ქალებმა არ შეანელეს ლტოლვა მწვერვალების დასაპყრობად...

**თ. გიორგაძე.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების — იუგოსლაველი მ. პარლოვისა (მარჯვნივ) და ინგლისელი ჯ. კონტის 15-რაუნდიანი ორთაბრძოლა დამთავრდა პარლოვის გამარჯვებით, რითაც მან შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა.

საკდესის ფოტო.

## ჭადრაკი

**ბუშინწინ** ბაგიოში (ფილიპინები) ა. კარპოვ (სსრ კავშირი) — ვ. კორჩნოის მატჩში მსოფლიო პირველობაზე X პარტია გათამაშდა.

მეტოქეებმა განაგრძეს თეორიული დუელი ესპანური პარტიის ღია ვარიანტში, რომელსაც მუდამ მიმართავს კორჩნოი, როცა შავებით თამაშობს. ამჯერად მე-10 სვლამდე გამეორდა VIII პარტიის შესავალი, შემდეგ პრეტენდენტმა სხვაგვარად ითამაშა. მე-11 სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა მოულოდნელად მხედრის შეწირვა განიზრახა.

პრეტენდენტი 43 წუთს ფიქრობდა და მაინც ვერ გაბედა ფიგურის აყვანა მეტოქის მხრიდან მძაფრი იერიშის შიშით. მან პაიკები გაცვალა და, როცა მე-15 სვლაზე ლაზიერებიც გაქრნენ დაფიდან, თანაბარი ენდშპილი მიიღო. მაგრამ კარპოვი არ ცხრებოდა. პაიკის შეწირვით შეეცადა ინიციატივას დაუფლებოდა. მისმა ფიგურებმა აქტიური პოზიცია დაიკავეს, მაგრამ პრეტენდენტმა შეძლო ეტლების მანევრებით თამაშის კიდევ უფრო გამარტივება. 44-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

აი, X პარტია:

**კარპოვი — კორჩნოი**

**ესპანური პარტია**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 მ:e4 6. d4 b5 7. კb3 d5 8. de კe6 9. მbd2 მc5 10. c3 d4 11. მg5 dc 12. მ:e6 fe 13. bc ლd3 14. მf3 ლ:d1 15. კ:d1 კe7 16. კe3 მd3 17. კb3 მფf7 18. ეad1 მ3:e5 19. მ:e5+ მ:e5 20. კf4 მc4 21. კ:c4 bc 22. ეd4 კd6 23. კe3 ეhb8 24. ე:c4 ეb2 25. a4 ეa2 26. g3 ეb8 27. ეd1 ე8b2 28. ე1d4 ეb1+ 29. მფg2 ე1a1 30. ეh4 h6 31. კc5 e5 32. კa7 მფe6 33. ეcg4 კe7 34. ეh5 კf6 35. ეc4 მფd7 36. კb8 c6 37. ეe4 ე:a4 38. c4 ეa5 39. კ:e5 კ:e5 40. ეh:e5 ე:e5 41. ე:e5 ეa4 42. ეe4 ეa5 43. h4 h5 44. ეf4. ყაიმი.

ამრიგად, კარპოვი განაგრძობს ლიდერობას ანგარიშით 1:0.

დღეს XI პარტია უნდა შედგეს.

* * *

ბაგიო. 6 საათი თათბირობდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საapelაციო ჟიური. საბოლოოდ დაკმაყოფილებული იქნა ა. კარპოვის პროტესტი საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთი წევრის მიმართ უკანონო მოქმედების გამო. როგორც ვიუწყებოდით, მეცხრე პარტიაში, მთავარი არბიტრის მითითებით, საბჭოთა ფსიქოლოგს აიძულებდნენ წარამარა გამოეცვალა ადგილი. ჟიურის გადაწყვეტილებამ, რომელმაც უარყო „ჰიპნოტიზიორობის" საცილო ეჭვი, პრეტენდენტის თანამოაზრეთა შორის ჯერ დაბნეულობა, ხოლო შემდეგ სასკანდალო საპასუხო რეაქცია გამოიწვია.

„კორჩნოის გუნდმა" ყველა დაადანაშაულა „საბჭოებისადმი თანაგრძნობის გამო" და მეათე პარტიის დაწყების შემდეგ მოიწვია პრეს-კონფერენცია. „პრეტენდენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა" ქალმა პ. ლეევერიკმა წაიკითხა ანტისაბჭოთა განცხადება. კორჩნოიმ გადაწყვიტა გაწყვიტოს ურთიერთობა კარპოვთან, — თქვა მან. წინადადება ყაიმის თაობაზე მიეცემა არბიტრის საშუალებით. ლეევერიკმა პრეტენდენტის სახელით მოითხოვა სატურნირო დარბაზში შემსვლელი ყველა საბჭოთა მოქალაქის გაჩხრეკა, როგორც ეს აეროპორტებში ხდება.

ამავე დროს გაავრცელეს ხმა, რომ თითქოსდა ჟიურისა და საბჭოთა დელეგაციისგან განაწყენებული მატჩის მთავარი არბიტრი ლ. შმიდი არ გამოცხადდა და მეათე პარტია გახსნა მისმა თანაშემწემ მ. ფილიპმა. საკდესის კორესპონდენტი შეხვდა ლ. შმიდს, რომელმაც განაცხადა, რომ იგი დღეს გაემგზავრა მანილაში ევროპიდან ჩამოსული ოჯახის დასახვედრად და დაიღალა მრავალკილომეტრიანი საავტომობილო მგზავრობის შემდეგ. „ასეთ უძნელეს შეჯიბრებაში, როგორიცაა მსოფლიო პირველობის მატჩი, არბიტრსაც სჭირდება ტაიმ-აუტი" — თქვა მან. (საკდესი).

## წყალში ხტომა

**სოციალისტური** ქვეყნების იუნიორ წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში 3 ოქროს, 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ჩემპიონები გახდნენ: კოშკიდან წყალში ხტომაში, პენზელი ტ. ბელიაკოვა (333,81 ქულა) და ვორონეჟელი ნ. დროჟინი (428,34), ხოლო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ვაჟთა შორის, ჟდანოველი ი. კოშმანი (408,0).

„**ივნისის** დამლევს ოსლოში, „ბიშლეტის" სტადიონზე კენიელმა ჰ. რონომ თავისი მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე რბენაში. ვიცით, რომ ახლა მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები 3, 5, 10 კილომეტრზე რბენაში და 3000 მეტრზე წინაღობებით ასპარეზობაში. მძლეოსნობის ისტორიას სხვა ასეთი რამ არ ახსოვს. იქნებ „ლელოს" საშუალება აქვს უფრო დაწვრილებით მოგვითხროს ამ სპორტსმენის შესახებ". დაახლოებით ასეთი შინაარსისაა თბილისელი **ნ. ბუზალაძის**, ბორჯომელი **გ. კურტანიძისა** და მაიაკოვსკელი **ე. კიკნაველიძის** წერილები.

# ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს

**ვინ არის** ჰენრი რონო, რომელმაც მსოფლიო აალაპარაკა?

დაიბადა 1952 წლის 12 თებერვალს კენიაში, რიფტის ველზე, რომელმაც მსოფლიოს არაერთი ცნობილი მორბენალი მისცა. 20 წლამდე სპორტსმენობაზე არ უფიქრია, ზოგჯერ არმიის კლუბში ამხანაგების მიბაძვით ვარჯიშობდა, მერე თანდათან დაინტერესდა და ერთხელ 5000 მეტრზე სცადა ძალა, შემდეგ 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაშიც გაეჯიბრა სხვებს და გაიმარჯვა.

...ორი წლის წინათ რონო სტუდენტი გახდა ვაშინგტონის შტატის ერთ-ერთი უნივერსიტეტისა, სადაც უკვე სწავლობდა მისი ცნობილი თანამემამულე ს. კიმომბვა. რონომაც მასთან ერთად ჯ. ჩეპლინის ხელმძღვანელობით რეგულარული ვარჯიში დაიწყო.

ჰენრის პირველი სტარტი — აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატი კროსში — ახალგაზრდა კენიელის გამარჯვებით დამთავრდა. უკვე წლის დამლევს მწვრთნელმა რონოს საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი მორბენლის კარიერა უწინასწარმეტყველა. წელიწადზე ცოტა მეტი ხნის ვარჯიშით სპორტსმენმა ყოველგვარ მოლოდინს გადაამეტა — მსოფლიოს უძლიერეს მორბენალთა სიაში მოხვდა, მაგრამ მალე ბედმა უმუხთლა — რამდენჯერმე ავად გახდა, ამასობაში კი კიმომბვამ 10000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

შარშან, ზაფხულის დამლევს რონო სარბენ ბილიკებზე კვლავ გამოჩნდა: ლონდონში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (27.31,1) აჩვენა. მერე კროსში აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონობა შეინარჩუნა, ხოლო 1978 წლის დასაწყისში ახალ ზელანდიაში ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან ლ. ვირენთან (ფინეთი), მსოფლიო რეკორდსმენ ი. ჰერმენსთან (ჰოლანდია), დ. ულემანთან (გფრ) და სხვებთან ბრძოლაში 10 კმ ყველაზე სწრაფად, 27.48,6 წამში გაირბინა, მეტოქენი თითქმის წუთით ჩამოიტოვა.

ჰენრისთვის წლევანდელი ზაფხული უჩვეულოდ ადრე დაიწყო — აპრილის დასაწყისში **5 კილომეტრზე** ორჯერ იასპარეზა და მეორე სტარტი (9 აპრილს) იღბლიანი გამოდგა — **მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 13.08,4.**

კენიელმა კარგად იგრძნო, რომ შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო და, რეკორდებზე „ნადირობა" დაიწყო, რაც უხვმოსავლიანი გამოდგა. ორ თვეში 3 მსოფლიო მიღწევის ავტორი გახდა. **15 მაისს სიეტლში 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში 8.05,4 აჩვენა, 11 ივნისს ვენაში 10 000 მეტრზე გახდა რეკორდსმენი — 27.22,5, ხოლო იმავე თვის დამლევს „ბიშლეტის" სტადიონზე 3 000 მეტრზე ასპარეზობაში — 7.32,1.**

რონო 170 სმ სიმაღლისაა და 64 კგ-ს იწონის, მას არასოდეს ეშინია მისთვის უჩვეულო დისტანციებზეც სცადოს ძალა. თებერვალში ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში 20 კილომეტრზე რბენაში იმარჯვა, როცა მარათონში აშშ-ს რეკორდსმენი ბ. როჯერსი დაამარცხა.

როცა რონო აშშ-ში გადავიდა, ცხადია ახალბედა სპორტსმენი ალარ იყო, მაგრამ აქ მან განსაკუთრებით ბევრს მიაღწია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, ყოველდღიურად 2-3-ჯერ ვარჯიშობს.

„მთავარი ის კი არ არის რამდენს დავრბივარ, არამედ ის, როგორ ვასრულებ ამ დატვირთვას. როგორც წესი, კვირაში ორჯერ მწვრთნელს დავყავართ კანიონებში, რომლის ფერდობებს შორის 4,5 მილიანი ტრასაა. მას ორჯერ ვფარავთ. ერთხელ — ძირს დაშვებით, მეორედ — მაღლა დაბრუნებით. მაგრამ წვრთნა ამით არ მთავრდება, შეჯიბრების მოახლოების დღეებში ამგვარი დატვირთვის შემდეგ ვარჯიშს სტადიონზე ვაგრძელებთ. 1000 იარდს დავრბივართ ინტერვალებით, ეს განსაკუთრებით აუცილებელია დაქანცვის ფაზაში", — ამბობს რონო.

ჰენრი რონოს ნიჭს სპეციალისტები უდიდეს შეფასებას აძლევენ — მას მოსკოვის ოლიმპიური თამაშებში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად თვლიან.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.